

სარბიელი

ქართული
საბჭოთაობა

საერთოული გაზეთი

შაბათი 27 თებერვალი 1999 №35 (808)

ფასი 50 თეთრი

სარბიელი

იუწყება, რომ
2 მარტიდან გაზეთის ფასი
1 ლარამდე გაიზრდება და
პკითხველისთვის
ერთგვარი კომპენსაციის
მიზნით 16-გვარდამდე
იქნება

გოგინაიშვილს დინამოში უჯობს

ორი წლის წინ
საზღვარგარეთ
გადახვეწილი
ნახევარმცველი
შეიძლება
დიდძის ბაზას
დაუბრუნდეს



ევროპული ფეხბურთი სახეს იცვლის

მომავალი
სეზონიდან
ჩემპიონთა ლიგა და
უეფას თასი ახალ
ფორმატს მოირგებს



CHAMPIONS
LEAGUE

UEFA CUP

საქართველოს ჩოგბურთის



ფედერაციის
ახალი
პრეზიდენტი
ლეილა

მესხი:
ჩვენს ჩოგბურთში დიდი
ხანია, არსებობს თბოზიცია
მეტრეველსა და მესხს
შორის. თუმცა ყრილობა
რომც გადადებულიყო,
პრეზიდენტად მაინც მე
ამირჩევდნენ



ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, E ჯგუფი

საქართველო - იტალია

27 თებერვალი, თბილისი, სპორტის სასახლე, 18 საათი

მსაჯები: მიროდრაკ ლიჩინა (იუგოსლავია), გიორგი ვალჩევი (ბულგარეთი)

პაეგანი იტალიასთან

იტალიელთა მწვერული ბოგდან ტანიუვიჩი თავისიანებს მთელი კალით საბრძოლველად აბულიანებს

მს-მსაპ, ნაცრისფერი ბინდი გადაკრა ქალაქს. თბილისის
აეროპორტში მოფუსფუსე მცირე ჯგუფს საქმიანი იერი და მოლო-
დინი გამოარჩევს სხვათაგან. იქნებ ცოტა ლელავენ კიდევ, ალბათ,
ასეა. ეს არც არის გასაკვირი, ცოტაც და, ჩვენს წინ მქუხარე
სახელები აისვეტებიან...

სულ მალე ირგვლივ ყველაფერი გალურჯდა. ტრადიციულ სამო-
სში გამოწყობილი თავმომწონე „სკუადრა აძურა“ ქართულ მიწაზე
დააბიჯებს. არც მეტი, არც ნაკლები, ევროპის ვიცე-ჩემპიონი —
იტალიის კალათბურთელთა ნაკრები ეწვია თბილისს.

ზედმიწვევით ნაცნობი სახეები ენაცვლებიან ერთმანეთს. აი, ისიც,
ეს ხომ თვით დინო მენეგინია, წარსულის დიდი მოთამაშე და
იტალიური კალათბურთის ლეგენდა...

ჩვენმა დღევანდელმა მეტოქეებმა მსწრაფლ სასტუმრო „მეტეხი-
სკენ“ აიღეს გეზი — დაბინავებას ემუშებოდნენ. მათმა მწვერულ-
ელმა, ბოსნიელმა ბოგდან ტანიუვიჩმა საჯარო დროც დაა-
ხუსტა და მხედრებთან და ვაზში ვარჯიშის შემდეგ იყოს, თხუ-
თმეტ წუთში ფოიეში გელოდებითო, უბრძანა შევირდებეს.

52 წლის ტანიუვიჩი თავის დროზე იუგოსლავიის კალათბურთე-
ლთა ნაკრების მოთამაშე, მერე კი მთავარი მწვერულიც გახლდათ,
საკლებო დონეზე არაერთი ტიტული — ჩემპიონთა თასი, კორაჩის
თასი აქვს მოგებული. 1982 წლიდან იგი იტალიაში საქმიანობს და
1997-ში ქვეყნის კალათბურთის ფედერაციამ ნაკრების მთავარი მწ-
ვერთელობა რომ შესთავაზა, არაღის გაკვირვება.

— იტალია ჩემთვის მეორე სამშობლოა. აკერ უკვე თითქმის ოცი
წელია, აქ ვმუშაობ, ჯერ „კაზერტაში“, მერე ტრიესტის „სტეფანე-
ლსა“ და მილანში. ცოტა ხნით საფრანგეთშიც კი წავედი, როდესაც
იქაურ „ლიმუჟს“ ვხელმძღვანელობდი, მაგრამ ერთი წლის შემდეგ
გულმა უკან გამომიწია. იტალიელები, მე მეორე, უცხოელად აღარც
კი აღმიქვამენ.

— ხვალ იოლ მატჩს ვლით?
— მიუხედავად იმისა, რომ პირველ მატჩში თქვენები იოლად
დავამარცხეთ, არ ვფიქრობ, რომ ამჯერადაც იგივე განმეორდება.
ვიცი, რომ რამდენიმე დღის წინ ლატვიას დიდი ბრძოლა გაუმართეთ
და სულ ორი ქულით წააგეთ, ჩვენ კი მათთან დავამარცხდით, ასე
რომ, მეც და კალათბურთელებიც დაძაბული ბრძოლისთვის ვემზადე-
ბით.

— აქ საბრძოლო შემადგენლობით ჩამოხვედით?
— არა, რამდენიმე წამყვანი მოთამაშე ტრავმების გამო გვაკლია.
არ გვეყოლება ჩვენი უდავო ლიდერი კარლტონ მაიერსი, რომელმაც
თურქებთან შეხვედრაში მუხლი დაიზიანა, სხვადასხვა პრობლემა-
ების გამო არ ჩამოსულან დე პოლი, აბიო, ფროსინი, მენეგინი.
საბედნიეროდ, მათი ტრავმები სერიოზული არ არის, მაგრამ რომ არ
გაურთულდეთ, ვარჩიეთ, არ გაკვირისკა და ისინი დაგვეხვეწებინა.

იხილეთ მერევე გვერდი



საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი
დუღუ დადიანი (მარცხნივ) იტალიელებს შეხვედრაზე უთანხმდება



იტალიური კალათბურთის ახალი და ძველი დიდება:
გრეგორ ფუჩკა და დინო მენეგინი

საქართველოს
ჩემპიონატი
16
ტურში

28 თებერვალი, კვირა	ლოკომოტივი - კოლხეთი (0:0)
სამგურალი - მერანი (0:0)	გურია - სიონი (2:2)
ტორმელო - თსუ (3:1)	იბურია - ოდიში (1:0)
დილა - გორდა (1:1)	1 მარტი, ორშაბათი
ვიტ ჯორჯია - ბათუმი (1:0)	2 მარტი, სამშაბათი
არსენალი - დინამო (1:5)	

* ფრჩხილებში — პირველი ნრის
შედეგები

მაკმარე, რაც მანვალი...

ხვალ საქართველოს შვიდ ქალაქს ფეხბურთი ეწვევა. კვირას მკათე
ერთგვარული ჩემპიონატის მეორე წრე იწყება. თავს გვახსენებს
ქართული ფეხბურთი, რომელიც რახანია, წვალობს.
ხვალიდან იქნებ ნაკლებად ვიწვავლით. იქნებ გვაკმარონ, რაც აქამდე
გადაგვიტანია.
თებერვლის ბოლო დღეს და მერე, გაზაფხულზე ქართული
ჩემპიონატი იქნება ქომაგების საწუხაროც და სიხარულიც.
ღმერთმა ინებოს და, მეორე წრეს გულშემატკივართა იმედი
გაუმართლებინოს.

იხილეთ მესამე გვერდი



საპროგრამო 16 თვე დასრულდა

მაკმარე, რას მანვალი...



აღმერი კეთილშობილი ფოტო

წველი ავირჩიეთ. ამ გუნდებს ხომ საპროგრამო ადგილისთვის ბრძოლის კარგი შანსი აქვთ...

ფეხბურთი რა არის ღრუბანი ფეხბურთი? რა თქმა უნდა, თამაში...

სასიმღეროდ საქმე ნამდვილად არ გვაქვს. უფრო სწორად კი, კარგა ხანია, აღარ გვემძღვრება...

საქართველოში აღრიანად გამოზაფხულდა. ზამთარმა აშკარად დაგვიწლო და ნელ-ნელა გვტოვებს...

ნადრევი ვეკლავთ კარგია, სიკვდილის გარდა — ეს ქართველების გამონათქვამია, მაგრამ მოჩქარეს მოუგვიანდეს...

ფედერაციამ აღრიანად დაიწყო სამეორეო მზადებაზე ფიქრი. დიდი ხნის შესვენების შემდეგ პირველი გუნდის გუნდებს ერთმანეთთან ბურთობის ნორმალური საშუალება მისცა...

წინადადებულ და პროგრესულ ნაბიჯად უნდა ჩათვალოს აგრეთვე მსაჯობის ინსტიტუტისადმი სფუნს სერიოზული მიდგომა...

მათე ეროვნული მტორე წრე ხვალ იწყება. ტურის ცენტრალურ შეხვედრად „ლოკომოტივი“ — „კოლხეთის“

1997 წელი. „კოლხეთი“ — „ლოკომოტივი“. მაშინ მათ განსხვავებული მიზნები ჰქონდათ, ხვალ კი ერთი მიზნისთვის შეეგრიებიან ერთმანეთს

თბილისი. „შეგარდენი“. 28 თებერვალი. 15 საათი. ლოკომოტივი — კოლხეთი

მსაჯობა: ა. შალამაგონიძე; ბ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი); ზ. ლაცაბიძე (თბილისი) ინსაპიტორი: შ. ხინგაგაშვილი

ქუთაისი. „გივი კილაძე“. 28 თებერვალი. 15 საათი. გორაკი — თსუ

მსაჯობა: ა. კრიტიშვილი; ს. კახიანი (ორივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); ი. გოგლაძე (ბორჯომი) ინსაპიტორი: ნ. კაკუღია

ნსაბტპო. „26 მაისი“. 28 თებერვალი. 15 საათი. სამგურალი — მერანი

მსაჯობა: გ. ასკარული (ქარციხი); ვ. ვოლოვი (ცხინვალი); ლ. მიქელაძე (სამტრედიანი); კ. კიკაბიძე (ქუთაისი) ინსაპიტორი: ი. მჭედელიშვილი

სამტრედიანი. „ეროსი მანჯგალაძე“. 28 თებერვალი. 15 საათი. იბერია — ოდიში

მსაჯობა: ლ. ფინაშვილი; ზ. ხუციშვილი; ლ. სილაგავა; ა. ქარქაშაძე (ყველა თბილისი) ინსაპიტორი: გ. ძამუჯაშვილი

ღანისთი. „ვეგრადი შეგარდენაძე“. 28 თებერვალი. 15 საათი. გურია — სიონი

მსაჯობა: თ. ლაცაბიძე (სურამი); ს. შალამაგონიძე; მ. მაისურაძე; კ. თბილისი (ყველა თბილისი) ინსაპიტორი: მ. მიმინიშვილი

ბორჯომი. „ცენტრალური“. 28 თებერვალი. 15 საათი. დილა — გორაკი

მსაჯობა: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი); თ. გიორგაძე (სამტრედიანი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი) ინსაპიტორი: ა. დურუნაშვილი

მცხეთა. „არმაზი“. 1 მარტი. 15 საათი. ვიბ ჯორჯია — ბათუმი

მსაჯობა: დ. სანია (სოხუმი); გ. ცირაძე (გულრიფში); გ. ჩიკოიძე (სამტრედიანი); ზ. მენიშვილი (თბილისი) ინსაპიტორი: ნ. მირიანაშვილი

თბილისი. „სინაი“. 2 მარტი. 15 საათი. არსენალი — დინამო

მსაჯობა: თ. გუნთაძე (ღანისთი); ა. მუშვიტი; ვ. ველიკაშვილი (ორივე თბილისი); ა. გუნთაძე (ღანისთი) ინსაპიტორი: ა. მთლერეკო

ხშირად სანიძე

Table with 3 main columns: სულ, შინ, სტუმარად. Each column has 16 rows of statistics for different teams.

[?] — ადგილი წინა ჩანაწერებში. # — ადგილი წინა ბურთი ! — ვიბ ჯორჯიას დაჯილდოებული აქვს 3 ქულა

ინტერესის გაღვივება ამგვარი მატჩისადმი მხოლოდ სარგებლის მომტანი ჩვენს ფეხბურთისთვისაა. რა თქმა უნდა, ამ საქმეში მთავარი რამ ტელევიზორია...

ინტერესის გაღვივება ამგვარი მატჩისადმი მხოლოდ სარგებლის მომტანი ჩვენს ფეხბურთისთვისაა. რა თქმა უნდა, ამ საქმეში მთავარი რამ ტელევიზორია...

ასე თუ ისე, ხვალედან ჩემპიონატი განახლდება და კვლავ აფრიამულდება სტადიონები. ფეხბურთი კვლავ შემოიბრუნება ჩვენს ქალაქებში და გულშემატკივარიც მოუთმენლად ელოდება მის უდიდებულესობას.

იმიტომ გვუფლებთ მტორე წრეს გვეყო უსახური ბურთობისა და ცარიელი ტრიბუნების ცქერა. ფეხბურთელებო, მწვრთნელებო, მსაჯებო! — „მაკმარე, რაც მანვალი“ — ამ განწყობით ველით მინდორზე თქვენს გამოჩენას და ნუ გავვიწყლებთ მთლიანად გვეყო წვალება...

ესეც არ იყოს და, ტელევიზორზე უკეთესი კონტროლი არ არსებობს. ფეხბურთის ტელევიზორული გადაცემა ღრუბანის ზურგზე, აღამიანს რომ ვერაფრით გაცურებს. თან კიდევ, როცა ამდენს ლაბარაჟობს და რღვევებს, მსაჯობაზე, მანუარებელთა ხულიგნობაზე — აუტ ტელევიზორი. იქნება დავინახათ, მოერიდებიან ამათს კამერის წინ და რა სჯობს? აი, ცხრა მაისს ქუთაისის ელენი თბილისის „დინამოს“ მასპინძლობენ. მე თუ მკითხავთ, ახლავ დავიწყებდი ამ შეხვედრის რეკლამირებას.



ევროპული საკლუბო ფეხბურთი ახალ ცხოვრებას იწყებს: ჩემპიონთა ლიგა ფართოდ ვრცელდება, ახალ ფერს იკრავს უეფას თასიც...

ვის საათზე რა დროა?

საათის ისარი მხოლოდ და მხოლოდ ზაფხული-სა და ზამთრის დროზე გადასასვლელად გადაიწევა, მაშინ მომავალ სეზონში, ისევე როგორც ახლა...

უეფას თასზე მონაწილე გუნდებს არჩევანი ექნებათ. ამ შეჯიბრების შეხვედრები ცენტრალური ევროპის დროით 17-18 ან 20-21 საათზე დაიწყება...

უეფაში ვარაუდობენ, რომ ადრეულ საათებში თამაშებს აღმოსავლეთ ევროპაში დანიშნავენ, დასავლეთში კი გვიან საათებს ამჯობინებენ.

„და მაინც, ვერ კიდევ დასასვეწია ზოგი საკითხი“ — განაცხადა აიგნერმა — „ვიინიდან ჩემპიონთა ლიგის შეხვედრები ფიქსირებულ დროს იწყება, იმ შეჯიბრების მონაწილე კლუბებს არჩევანის საშუალება არ აქვთ...“

თამაშების დაწყების დროზე მუშაობისას გადაწყვიტეს, ყურადღება არ მიაქციონ ქვეყნებს შორის კულტურულ და ეროვნულ განსხვავებებს...

ვასშობას ასრულებენ. ბუნებრივია, რომ ტრადიციისგან გადახვევა პორტუგალიურ კლუბებს არ მოეწონებათ.

თავისებური პრეტენზია გამოთქვა ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ პიტერ კინიონმაც...

კინიონმა თქვა: „ბუნებრივია, ასეთი შესაძლებლობა ჩვენს შემოფოტებას იწვევს. ისიც გასაგებია, რომ ჩვენი თამაშები, როგორც წესი ამ დროს არ დაინიშნება...“

შეფიქრიანებული იყო პოლანდიური „აიაქსის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ფრანკ კალესიც: „შემოთავაზებულმა დროებმა შესაძლოა, ჩვენც შეგვიქმნას სირთულეები...“

რაც შეეხება ევროშეჯიბრებათა კალენდარულ დღეებს, სამუშაო ბოლომდე დასრულებული არც აქაა. ჩემპიონთა თასზე შეხვედრები სამშაბათს და ოთხშაბათს ან ოთხშაბათს და ხუთშაბათს გაიმართება...

ევროშეჯიბრებების ფორმატის ცვლილებები კონტინენტის საფეხბურთო წრეებში დიდ მოწყობას დაიქვემდებარება...

ჩემპიონთა ლიგის მოსალოდნელი შემოსავალი 800 მილიონი შვეიცარიული ფრანკია. ამ თანხის 75 პროცენტი შეჯიბრების მონაწილე კლუბებს შორის განაწილდება...

თითოეული კლუბი (გარდა იმ რვისა, რომელიც ლიგას გამოეთიშება და უეფას თასის გათამაშების შესაძლებლობაზე გადაერთვება) 1,5 მილიონს მიიღებს...


მეოთხედფინალიდან პრემიები იზრდება. თითოეული მეოთხედფინალისთვის გამოყოფილი იქნება 4 მილიონი, ნახევარფინალისთვის 5 მილიონი...

გარდა ხსენებული თანხებისა, 250 მილიონი შვეიცარიული ფრანკი განაწილდება არა სპორტული, არამედ ეკონომიკური პრინციპით, ხოლო კიდევ 30 მილიონი მონაწილე გუნდების ქვეყნებს, უფრო სწორედ ამ ქვეყნების საფეხბურთო ლიგებს გაუნაწილებათ...


რაც შეეხება შემოსავლის იმ ნაწილს, რომელსაც თავად უეფა ნაიღებს: 300 ათასი შვეიცარიული ფრანკი დაურიგდება თითოეული ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას, 80 ათასი მიიღებენ ის კლუბები, რომლებიც ორივე ევროშეჯიბრების პირველ ორ შესარჩევ ეტაპზე დამარცხდებიან...

უეფას გიულეტენი

ჩემპიონთა ლიგა 1999-2000



უეფას თასი 1999-2000



* ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის I ეტაპიდან გამოთიშული 8 გუნდი
** ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოთიშული 16 გუნდი
*** 1-3 ქვეყნების VI გუნდები, 1-8 ქვეყნების V გუნდები, 4-8 ქვეყნების IV გუნდები, 7-8 ქვეყნების III გუნდები...

Table with 5 columns: No, ჯგუფური ტურნირი, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი, პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი, ქვეყანა, უეფას თასი, No. Lists 48 teams and their progression.

შენიშვნა: ჩმ — ჩემპიონი; თმ — ევროული თასის მფლობელი II, III, IV, V და IV — შესაბამისი ადგილები ეროვნულ ჩემპიონატებში;

25 თებერვალი

ნიუ იორკი 115:113 მინესოტა

(ძირითადი დრო 104:104)

ნიუ იორკი: პიუსტონი (26), იუინგი (20 ქულა, 11 მოხსნა, 6 დაფარება)

მინესოტა: გარნეტი (26 ქულა, 14 მოხსნა), სმიტი (20 ქულა, 16 მოხსნა), მარბერი (20 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი)

ოვერტიმის დამთავრებამდე 4,6 წამი იყო დარჩენილი, ნიუ იორკელთა მსროლელმა ალან პიუსტონმა მინესოტელ „მელბს“ სამქულიანი რომ ჩაუგდო და სტუმრები შინ მარცხნაწევნი და დამბული თამაში ქანცაწვევტილი გაუშვა. „მინესოტა ტიმბერვულვზი“ ნიუ იორკის ცნობილ „მედისონ სკვერ გარდენს“ მოგების იმედით ესტუმრა და მატჩის დასაწყისში კიდევ იმარჯვა, მაგრამ მეორე ნახევარში შავად წაუვიდა საქმე. მის გამთამაშებელ სტივენ მარბერის, რომელსაც თითო-თითო მოხსნა-პასი დააკლდა სამმა დუბლამდე, ძირითადის დროის დამთავრებამდე 2,2 წამით ადრე რომ არ ჩაეგდო, სტუმრები ძირითად დროშივე წააგებდნენ. მარბერის მინც და მინც არ დასწევვტია გული, მათმა გარჯამ ნაყოფი რომ ვერ გამოიღო და უთქვამს, ეს ისეთი დარბაზია, სადაც წაგება ღირსო.

ვაშინგტონი 105:115 საკრამენტო

ვაშინგტონი: ჰოვარდი (17), ჯეკსონი (17)

საკრამენტო: დივაცი (22 ქულა, 17 მოხსნა)

დედაქალაქურ გუნდს მისმა ყოფილმა მთამაშებ, კრის ვებერმა მოულოდლო. მან ერთ დროს თავისიანები არ დაინდო, 17 ქულა ჩაუგდო და აძას 10 მოხსნა და ამდენივე პასიც დაუძატა, რითაც ამ სეზონში პირველი სამმაგი დუბლი გახერხა. მასპინძელი გუნდი სულ მდევრის როლში იყო. წლეულს აშკარად მომდღაჟრებულ საკრამენტოსთან განსაკუთრებით მიჩ რიმონდს და ოტის ტორას სურდათ თავის გამოჩენა, რადგან სწორედ მათში გაუცვალა საკრამენტომ ვებერი ვაშინგტონს, მაგრამ ორივეს 16-16 ქულა საკმარისი არ აღმოჩნდა ვებერისა და მისი რაზმის შემართების დასაძლევად.

კლივლენდი 74:81 ინდიანა


კლივლენდი: კემპი (16)

ინდიანა: სმიტისი (20)

მასპინძელ კლივლენდს ინდიანას ვიწინ სჭირდა, რადგან შარშანდელი პლეი ოფის პირველი წრიდან სწორედ ამ გუნდმა დაიფრინა. ამიტომაც მთელი მაღლინით შეება მას და კარვა ხანს უგებდა კიდევ, მაგრამ ბოლო შეიდ წუთში მხოლოდ ერთი ბურთი ჩაუგდო და „პეისერზს“ მარცხნა გამოჩინა. 25 თებერვალს ნამდვილი სამმაგი დუბლების წვიმა იყო. ერთბაშად

სპორტული ცენტრი

ჩიკაგო: გათელილი და დარცხმენილი



პიუსტონი — ატლანტა. პიუსტონელ სკოტი ბიპენს (33) სამმაგი დუბლი წყალში ჩაეყარა

ოთხმა კაცმა მოახერხა ამის გაკეთება, მათ შორის ინდიანას გამთამაშებელმა მარკ ჯეკსონმა 15 ქულით, 12 მოხსნითა და 11 პასით.

პიუსტონი 87:93 ატლანტა

პიუსტონი: ოლაჯუონი (16 ქულა, 16 მოხსნა)

ატლანტა: ლონგი (20 ქულა, 10 მოხსნა)

ორი ლიდერის — ალან ჰენდერსონის და სტივ სმიტის გარეშე სტუმრად მთამაშე ატლანტა შიშობდა, რომ პიუსტონთან მარცხი წინასწარ გამოწყრილი ჰქონდა, მაგრამ პირიქით კი მოხდა. მათმა შემცვლელებმა — გრანტ ლონგმა და ტაირონ კორბინმა (17 ქულა) მათთვის უჩვეულოდ კარგად იბურთავეს და პიუსტონს შანსი არ დაუტოვეს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჯორჯიელთა ბრწყინვალე გარჯა

დაცვაში. ატლანტელებმა პიუსტონს რვაჯერ დაუფარეს, ათჯერ მოპარეს ბურთი და მხოლოდ ოთხჯერ დაკარგეს, რაც ლამის ნა-ს ყველა დროის რეკორდია. ატლანტას ერთი ბურთით ნაკლები რომ დაეკარგა, ფინიქსთან პორტლენდის შედეგს გაიმეორებდა (1991 წელი). არც ეს მატჩი დარჩა სამმაგი დუბლის გარეშე, რაც პიუსტონელმა სკოტი ბიპენმა ითავა. მის ანგარიშზე 15 ქულა, 11 პასი და 10 მოხსნა.

დალასი 90:81 დენვერი

დალასი: სებალისი (20 ქულა, 13 მოხსნა), ფინლი (20)

დენვერი: ფორსტონი (15 ქულა, 24 მოხსნა)

დენვერს ბედი არა ჰქონია. საკმარისი სტარტის შემდეგ მან საქმე გამოისწორა და ორი გრანდი — ლეიკერსი და იუტა დასცა, მაგრამ და-

ლასთან შეხვედრის დასაწყისში ლამის საბედისწერო ამავე შეხვედრებამ — ლეიკერსთან მატჩის გმირი რიფ ლაფრენცი ისე დაუშავდა, სეზონის ბოლომდე ვერც კი ივარჯიშებს. ვასული წლის დრაფტში მესამე ნომრად არჩეულმა ლაფრენცმა მატჩის მეოთხე წუთზე მარცხნა კოჭის ტრავმა მიიღო. გულგატეხილმა დენვერმა ამის შემდეგ ხელი ჩაიჭია და დალასის საჯიჯვენი გახდა. არადა, ტრავმას ვერც დალასი გადაურჩა. მასპინძელთა ლიდერმა სედრიკ სებალოსმა, რომელიც პირველად თამაშობდა ძირითად ხუთეულში სერიოზული ტრავმა მიიღო. მის მოშუშებას ექვსი კვირა მინც დასჭირდება.

ჩიკაგო 80:98 ფილადელფია

ჩიკაგო: კუპონი (16)

ფილადელფია: აივერსონი (33)

25 თებერვალს ჩიკაგოს მთავარი მწვრთნელი ტიმ ფლიდი, რომელიც ლიგაში პირველ წელს ატარებს, 45 წლია გახდა, მაგრამ სადღესასწაულო ნამდვილად არაფერი ჰქონდა — ჯერ კიდევ შარშან აღმოსავლეთის ყველაზე სუსტი გუნდი (ტორონტოს შემდეგ) მის შეგირდებს აბიურებდა. მატჩის შემდეგ ფლიდმა მინც მიიღო მეტოქის მწვრთნელ ლარი ბრაუნისა და გულშემატკივრთა მილოცვა. თავად კი ქომაგთ დარცხვენობა მოუბოდიშა, როგორც ჩიკაგოს აუდიტორია ნაჩვევია, ჩვენი გუნდი წლეულს ისე ვეღარ თამაშობსო. ისე, რა მისი ბრალია, რომ ჩიკაგოს ჯორდანის, ბიპენისა და როლმანის ნაცვლად ჩემპიონთა სასტარტო ხუთეულში ისეთი ბედოვლათები თამაშობენ, მასზე სუსტ გუნდში მხოლოდ სკამის ხეხვით რომ იქნებოდნენ დაკავებული.

ვანკუვერი 86:94 ფინიქსი

ვანკუვერი: აბუდურ-რაბიმი (22)

ფინიქსი: ჩემპენი (16)

სხვებზე ნაკლები რითა ვარო, თქვა ფინიქსელმა ჯეისონ კილმა, რომელიც გრისს მორთა და აქამდე გახერხებულ სამ სამმაგ დუბლს ამ სეზონში მეოთხე დაუმატა (14 ქულა, 16 პასი, 12 მოხსნა). კილი რომ ცოტაც დაფაცურებულიყო და ოთხი ბურთით მეტი ჩაეჭრა, ნამდვილად გმირობის ტოლ საქმეს ჩაიდენდა, ოთხმაგ დუბლს შესარულებდა, ასეთი რამ კი ნა-ს ისტორიაში სულ ხუთიჯერ კაცს თუ მოუხერხებია.

კლიპერსი 100:115 ლიპერსი

კლიპერსი: ტეილორი (20)

ლეიკერსი: ონილი (19 ქულა, 11 მოხსნა)

თანაქალაქელ კლიპერსს „ანაჰიმი არენაში“ ლეიკერსი ახალ მწვრთნელ, ბილ ბერტკას ხელმძღვანელობით ეწვია და მისსავე დარბაზში დაამარცხა ძველი მწვრთნელი, დელ პარისი, დენვერთან მარცხნა შეიწირა. იგი ლეიკერსს 1994 წელს ჩაუდგა სათავეში და კალა-

თბურთობისას ლეგენდარული, მაგრამ მწვრთნელობაში არც თუე წარმატებული მეჯიქ ჯონსონი; შეეცვლა, რადგან ამ უკანასკნელმა 1994 წელს მძობილური ლეიკერსი 15 წელიწადში პირველად ააცილა ფლეი ოფს გუნდის სათავეში მოვლისას დელ პარისმა საკმაოდ კარგი მწვრთნელის სახელი დაიგდო და ნა-ს ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან გუნდს ოთხი სრული სეზონი საკმოდ წარმატებით უხელმძღვანელა, მაგრამ ამ ახალ სეზონში „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ ისე ვერ წაუვდა საქმეები, როგორც მისი შემადგენლობის მყოფე გუნდს შეეფერებოდა და კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯერი ვესტმა პარისის ცხვირწინ მოუხურა კარი. რაც შეეხება ახალ დამოიგებულ ბილ ბერტკას, იგი ერთბაშად გაუხარებია უსუსურ კლიპერსთან მოგებას და უთქვამს, ეს რა კარგი ბიჭების პატრონი ვარო, აწი მე და ამათ ვიციით.

ინაკლი ფირაზვილი

აღმოსავლეთის კონფერენცია

Table with 3 columns: Player Name, Points, Percentage. Rows include Orlando, Miami, New York, Philadelphia, Boston, Washington, New Jersey.

ცენტრალური კონფერენცია

Table with 3 columns: Player Name, Points, Percentage. Rows include Indiana, Milwaukee, Atlanta, Detroit, Cleveland, Toronto, Chicago, Phoenix.


დასავლეთის კონფერენცია

Table with 3 columns: Player Name, Points, Percentage. Rows include Utah, Minnesota, Phoenix, San Antonio, Vancouver, Dallas, Denver.

ფინალური სერია

Table with 3 columns: Player Name, Points, Percentage. Rows include Portland, Seattle, Phoenix, Los Angeles, Sacramento, Golden State, Cleveland.

ეროუზ ბრან პრი



მიკა სალო ფინეთი
დაიბადა 1966 წლის 30 ნოემბერს ჰელსინკიში (ფინეთი) ცხოვრობს ლონდონში, უცოლო 1988 წლის ევროპის ჩემპიონი ფორმულა 1600-ში დებიუტი ფორმულა 1-ში: 1994, იაპონიის დიდი პრიზი („ლოტუსი“) 68 რბოლა, 15 ქულა



გუნდის მფლობელები: ტომ უოკინშოუ და მალიქ ადო იბრაჰიმი
ტექნიკური დირექტორი მაიკ კოუპლანი
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1978 წ. ბრაზილიის დიდი პრიზი
321 რბოლა, 1 პოული, 156 ქულა
შხსი: ეროუზ FA-19
ძრავა: ეროუზ-პარტ-V-10
საბურავები: „ბრიჯსტონი“



შაჰი უფლისწული


შარშანდელი სეზონის ბოლოს ტომ უოკინშოუს გუნდმა ორივე მთავარი სპონსორი — „დასკა“ და „კეპტერი“ დაკარგა და მიძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. გუნდის შეფი გამალებით ეძებდა პარტნორს, რომელიც მხარში ამოუდგებოდა, 17-მილიონიანი ვალის გასტუმრებაში დაეხმარებოდა და გუნდს წლევედელ ჩემპიონატში მონაწილეობის საშუალებას მისცემდა. კარვა ხანს იყო ლაპარაკი გერმანულ „ცაქსილზე“, რომელიც 80-იან წლებში ფორმულა 1-ში ასპარეზობდა. საბოლოოდ კი უოკინშოუს პარტნიორები „დოინგ ბანკის“ საინვესტიციო კომპანია MGPE და 38 წლის ნიგერიელი პრინცი და ბიზნესმენი მალიქ ადო იბრაჰიმი გახდნენ. მიუხედავად იმისა, რომ MGPE გუნდის უდიდესი წილის მფლობელია, საჯინიბოს უოკინშოუ და პრინცი მალიქი უხელმძღვანელებენ. სწორედ ნიგერიელი შავკანიანი მილიონერის იმედი აქვს ტომ უოკინშოუს და ფიქრობს, რომ აფრიკული მილიონები წარმატებას მოუტანს გუნდს. ფინანსური სიდუხჭირის გამო „ეროუზმა“ ახალი ბოლიდის მომზადება ვერ შეძლო და პირველ რბოლაში კვლავ შარშანდელ, ჯონ ბარნარდისეულ მოდელს გამოიყვანს. სან მარი-

ნოს დიდი პრიზისთვის კი ახალი მოდელი უნდა იყოს მზად და შეფერილობაც ახალი სპონსორების მოთხოვნის შესაბამისი იქნება. თუ რას მიადევს ეს ბოლიდი, რომელზეც საკმაოდ სუსტი ძრავა დამონტაჟებული, ახელი სათქმელია, მომავლისთვის კი ახალი, საკუთარი წარმოების 12-ცილინდრიანი ძრავა შექმნა დაგეგმილი.

ჯერჯერობით გუნდის მხოლოდ ერთი ბოლიდია ცნობილი — შარშანდელი „ეროუზის“ საჭეს ფინელი მიკა სა-

ლო მიუჯდება. მეორე ბოლიდად ხელმძღვანელობას ესპანელი პედრო დელა როსა ჰყავს შეგულებული, რომელიც გუნდს, ალბათ, თავისი სპონსორის, „რეპსოლის“ ფინანსებს შემატებს. ვარდა ამ მოსალოდნელი სპონსორისა, „ეროუზის“ შეფებს იმედი აქვთ, რომ თუ ფია BAR-ს ორი სხვადასხვა შეფერილობის ბოლიდით ასპარეზობას აუკრძალავს, „საჯინიბო“ „ბრიტიშ-ამერიკან ტობაკოს“ ფინანსურ დახმარებასაც მიიღებს.

ალეკო ბაბუქიანი



„ეროუზს“ ჯერ შარშანდელი ბოლიდით მოუწევს რბოლა

ჯგეროსნების ლაშქრობა



კრაისტჩერჩი
26 თებერვალი

კრაისტჩერჩი 48(15):3(3) ჰამილტონი

კრაისტჩერჩი: მაკდონალდი, კერი, რაფი, სოოლო, გიბსონი, მერტენსი, მარშალი, სარიჯი, გარდნერი (ლილი 44), ზლექადერი (ფლანინი 37), მაქსველი (ლანგასტერი 60), თორნი (პიუიტი 48), სომერვილი, ჰამეტი, ფიკი (რობერტსონი 65)
5 ლ — გიბსონი, სოოლო, რობერტსონი, კერი, ლანგასტერი
4 გ და 5 ს — მერტენსი

ჰამილტონი: მილერი, რენდი, მაკლეოდი, რეიპანა, ლითლი (ლი 48), ფინი, დაგანი, მაირი, მიკა (კუპერი 61), უილისი, ჯონსი, მარში, მარტინი, სმიტი, კოლინზი 1 ს — ფინი

ამაზე უკეთეს დასაწყისზე კრაისტჩერჩელები ვერც კი იოცნებებდნენ. ეს იყო ბრწყინვალე გამარჯვება, რომელიც გუნდმა ჩვეულ სტილში, კარგ დაცვაზე დაფუძნებულ თამაშში მოიპოვა. თუმცა, გუნდის დიდი პოტენციალის მიუხედავად, ასეთ შედეგს არაფერ ელოდა. მოკლებული ძირითად მორე ტაიმში განვითარდა, როცა „ჯგეროსნებმა“ ხუთი უპასუხო ლელო გა-

უტანეს მოწინააღმდეგეს „ჰამილტონს“ ამ მატჩში აშკარად ეტყობოდა ჯონა ლომუს არყოფნა. არა, თამაშს „ბელადები“ ვერ მოიგებდნენ, მაგრამ ასე საშინლად ნამდვილად არ დამარცხდებოდნენ. პირველი ლელო მასპინძლებმა მეორე ნახევრის დაწყებისთანავე გაიტანეს, რომელიც დერილ გიბსონის ანგარიშზეა. ხუთ წუთში მის გარღვევას, რომელიც სტუმრებმა ზედ ლელოს საზთან შეაჩერეს, მეორე ლელო მოჰყვა, ამჯერად სოოლომ იყო ჩაღა. ბოლო ოც წუთში კი მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი იყო, ხოლო ის სამი ქულა, რომელიც „ბელადებმა“ მოიპოვეს, ენდრიუ მერტენსმა მიითვალა. მან მატჩის დასაწყისში ზუსტად შესრულებული საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში. მატჩის შემდეგ ტოლ ბლეკადერი სიხარულს ვერ მალავდა. თუმცა აღნიშნა, რომ მომავალ კვირაში, ოქტომბრის შეხვედრამდე ბიჭებს სათამაშო ხარისხის გაუმჯობესება მართებოდა.

აბატა თოთაძე

25 წელი გასულა

...და ცოტა მეტიც, რაც თბილისის „დინამოს“ კლასიკური სტილით მოჭიდებული ნაკრებმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა. ვიდრე ევროპულ სიმალეს აიღებდნენ, იმ, 1973 წელს ჩვენმა ფალავნებმა ჯერ საკავშირო ბარიერი დაძლიეს, ეს კი, ცნობილია, არანაკლებ ძნელი საქმე იყო. ჩვენმა სულ 6 სათასო შეხვედრა გამართეს და ყველა მოიგეს. ფინალში სლოვაკია არმიელებს აჯობეს — 2:3:22. თასის მფლობელთა რიგებში გამოდიოდნენ ლევან გაბისიანი, დიმიტრი გაბაილუნი, ვახტანგ პლაგოძე, ვალერი არუთუნაიანი, ჯემალ მეგრელიშვილი, თამაზ წინწალაშვილი, ბაქსან ლეკვეიშვილი, თემურ ლეკვაია, თამაზ კეკელიძე, გელა დონღუაშვილი, ესტატი გოგლიჩიძე, მიხეილ სალაძე, ავთანდილ მაისურაძე, თეიმურაზ ქურციკიძე. ევროპული თასის მოპოვების 25 წლისთავს მიეძღვნა სპორტკლუბი „დინამოს“ ოფისში გამართული შეხვედრა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გურამ დათიამშვილმა გაიხსენა სათასო შეხვედრათა პერიპეტეიები. შეკრებილებს მიესალმნენ და მადლობის ბარათები გადასცეს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ლერი ხაბელოვმა, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა დავით გობეჯიშვილმა, სპორტკლუბი „დინამოს“ თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ რობინზონ თუშურაშვილმა, „დინამოს“ საჭიდაო კლუბის პრეზიდენტმა მელორ ტყემელაშვილმა.

ბახა არჯვანანიძე

ჯგეროსნების



ლეილა მესხი როგბურთის ფელაქასიის პრეზიდენტი

ეს გუშინ სპორტის დეპარტამენტში, ჩოგბურთის ფედერაციის ყრილობაზე გაირკვა. ფედერაციის აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა მერაბ ადემიშვილმა თანამდებობაზე დაორიგა აღარ ისურვა და პრეზიდენტობა დააკმაყოფილა მისი თხოვნა. სწორედ ადემიშვილის თხოვნით მოიწვიეს გუშინდელი რიგგარეშე ყრილობა

დღის წესრიგში დღევანდელმა ორი საკითხი შეიტანეს: ფედერაციის წესდებაში ცვლილებების შეტანისა და მერაბ ადემიშვილის თხოვნის შეტანა. მეორე საკითხის თარბაზე უკვე გამცნეთ. რაც შეეხება პირველს, წესდებაში დაუბრკოლებლად შეიტანეს შესწორებები, რომელთა თანახმადაც ფედერაციის პრეზიდენტობის მსურველებს თავიანთი კანდიდატურა არჩევნებამდე მინიმუმ 45 დღით ადრე უნდა წამოაყენონ. თუმცა, მიუხედავად ამისა, პრეზიდენტის არჩევნები მინც ჩატარდა, არადა, ამის წინააღმდეგი მრავლად იყო. თეიმურაზ კაკულიას თქმით, არჩევნების ჩატარება უკანონო იქნებოდა იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ყრილობაზე მიიღეს და არჩევნების გადავადებას ითვალისწინებდა. მის აზრს სპორტკლუბი „დინამოს“ წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ, თუმცა მათ არც მწვადი დავებს და არც შამფური და აღნიშნეს, რომ ყველა შემთხვევაში მხარს ლეილა მესხს დაუჭერდნენ. უმთავრესი კი ის არის, რომ სპორტის დეპარტამენტის იურისტი იმედო ხუციშვილი არჩევნების გამართვის უკანონობას ცნობდა როგორც ძველი, ისე ახალი წესდების მიხედვით. თუმცა... დღევანდელმა პრეზიდენტობის სამი კანდიდატურა წამოაყენეს — ალექსანდრე მეტრეველი, ლეილა მესხი და ლევან რაზმაძე. კენჭი კი მხოლოდ მესხმა იგარა. ლევან რაზმაძემ თავად თქვა უარი არჩევნებზე, ალექსანდრე მეტრეველის კანდიდატურა კი მისი არყოფნის გამო მოიხსნა. ამის შემყურე თეიმურაზ კაკულიამ განაცხადა, რომ თვითონაც სურდა არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ ასეთ სიტუაციაში ამას ვერ გააკეთებდა

და ყრილობა დატოვა. რაც მერე მოხდებოდა, თავდაც ხვდებით — ლეილა მესხი ერთსულვონად აირჩიეს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტად. დღევანდელმა ასეთი გადაწყვეტილებით კმაყოფილება მესხმა პრეზიდენტობის პირველ წუთებში „სარბიელისთვისაც“ მიიძალა, არადა, საქმე თავიდანვე გაუჩნდა — უამრავი მილოცვისთვის უნდა ეპასუხა: „მინდა, დიდი მადლობა გადაუხადო იმ ხალხს, რომლებმაც მხარი დაიჭირეს. მათ დაფასეს ჩემი დედაწლი ქართული ჩოგბურთის განვითარების საქმეში. ის, რაც ადრე ლეილა მესხის აკადემიის სახელით კეთდებოდა, ახლა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის სახელით გაკეთდება.“
— თქვენი აზრით, რატომ უნდადეთ ყრილობის გადადება?
— ჩვენს ჩოგბურთში უკვე დიდი ხანია, არსებობს ოპოზიციის — მეტრეველს და მესხს შორის. მათ დიდი წვლილი მიუძღვით ქართული ჩოგბურთის აღმავლობაში. ისე, ერთი მხრივ, კარგია, ასეთი ხალხი რომ გვყავს ოპოზიციაში — საქმე გაკეთდება.
— როგორ ფიქრობთ, არჩევნები რომ გადადებულყო, როგორ განვითარდებოდა მოვლენები?
— ყველა შემთხვევაში პრეზიდენტი მე ვიქნებოდი. დღევანდელმა უმეტესობა ჩემს მხარეს იყო, რადგან მათ დანახვები ჩემი საქმიანობის შედეგია. ამიტომ არჩევნების გადადება არ მაშინებდა. ძალიან კარგი, რომ ყველაფერი ახლავე მოგვარდა. იმედი მაქვს, გავამართლებ ნდობას და ქართული ჩოგბურთისთვის მაქსიმუმს გავაკეთებ.

აბატა თოთაძე

ლონდონი. ინგლისი.
GUARDIAN DIRECT
CUP. დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 815 ათასი \$

ერთი მოგება. სწორედ ამდენი სჭირდება ევგენი კაფელნიკოვს, კლასიფიკაციის 26-წლიან ისტორიაში მე-15 პირველი ჩოგანი რომ გახდეს და მაკინროის, ბორჯის, კონორსის და სხვა ლეგენდების კომპანიაში ამოყოს თავი.
„ევიქრობ, ცოტადენი ცვლილება ჩოგბურთის მხრივად წაადგება. პირველობა ჩემთვის დიდი პატივი იქნება, ეს იმასაც აღემატება, რაზეც ოცნება შემძლეო. მნიშვნელობა არა აქვს, ეს ლონდონში მოხდება თუ პო ში მინში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ კლასიფიკაციის სათავეს ამ სეზონში აუცილებლად მივაღწევ. კორტზე ყოველი გასვლისას დარწმუნებული ვარ, რომ გავიმარჯვებ, რადგან ასე კარგად არასოდეს მითამაშია“ — განაცხადა მორიგი მატჩის შემდეგ 25 წლის რუსმა.
კაფელნიკოვის მეტოქე მეორე წრეში ძმებ ბლექთაგან უფროსი, ბარიონი იყო. ტანმორჩილ ზომბაბულს რუსთან აქამდე ხუთივე პირადი შეხვედრა წაგებული ჰქონდა და ისედაც რწმენაში იყო, რომ თანამაგობის თვისი პირველი მოწოდების დაკარგვაზე უარესი რა უნდა დამართოდა. სოჭელმა ყენიამ ეს უპირატესობა მთელი პირველი სეტის მანძილზე შეინარჩუნა, ორი ბრეიკ-პოინტი ეისებით გადაარჩინა, მეორე ხელში კი ბლექმა წინააღმდეგობას კიდევ უფრო უკლებ — 6:3, 6:2 რუსის სასარგებლოდ.
ახლა კლასიფიკაციაში პიტ სამპრასის გასასწრებად კაფელნიკოვს მეოთხედფინალში მერვედ განთესილი ტომას იოპანსონის დამარცხებაც ჰყოფნის. ამ უკანასკნელმა ლონდონში გასული ნოემბრის შემდეგ თავისი პირველი გამარჯვება იზეიმა, მერვედფინალში კი იტალიელი დავიდ რანკინტის დაამარცხა. 6:0, 6:7 (3:7), 6:2.
ბოლო ხანებში ერთობ თავდაჯერებულმა და ენაგატლესილმა რუსმა პრესკონფერენციაზე ტიმ ჰენმანს ურჩია, შენს სპონსორებს და ATP ტურის მოთამაშეთა საბჭოს ნაკლები დრო დაუთმო, (არადა, ინგლისელი სპონსორებისგან ყოველწლიურად 2,5 მილიონი დოლარით ითბობს ხელს), ეს შენს თამაშს წაადგებაო.
„ტურნიერების დროს სარგებლობა თუ სხვა საქმიანობა ნებისმიერს აწებებს. საღამოობით თავისუფალი დრო უნდა გქონდეს მოსასვენებლად. შენს სათამაშო მთელი არსებით უნდა მიეცე და თუ რამის მიღწევა

ერთი მოგება



ამელი მორესმო

გინდა, კორტსგარეთა პრობლემებზე არ უნდა დაიხარჯო. სწორედ ამიტომ არც საბჭოს საქმიანობაში ემონაწილეო“ — განაცხადა კაფელნიკოვმა, რომელმაც თამაშისგან თავისუფალი ოთხშაბათი გოლფის მოედანზე გაატარა.
მეორე წრის ერთადერთი მოწოდებული შედეგი გორან ივანიშვილისა (7) და ჰიმამ არამარცხა. 6:0, 6:7 (3:7), 6:2.
ბოლო ხანებში ერთობ თავდაჯერებულმა და ენაგატლესილმა რუსმა პრესკონფერენციაზე ტიმ ჰენმანს ურჩია, შენს სპონსორებს და ATP ტურის მოთამაშეთა საბჭოს ნაკლები დრო დაუთმო, (არადა, ინგლისელი სპონსორებისგან ყოველწლიურად 2,5 მილიონი დოლარით ითბობს ხელს), ეს შენს თამაშს წაადგებაო.
„ტურნიერების დროს სარგებლობა თუ სხვა საქმიანობა ნებისმიერს აწებებს. საღამოობით თავისუფალი დრო უნდა გქონდეს მოსასვენებლად. შენს სათამაშო მთელი არსებით უნდა მიეცე და თუ რამის მიღწევა

ხომ თავზე, მავანი ცირკების მსგავსად, ბრეზენტი ასურავს: „კარავში თამაში უცნაურია, ქარის გამო ზოგჯერ ისეთი ხმაურია, ვერაფერს გაიგებ, კონცენტრაციაშიც ხელს გიშლის. ხშირად ზევით ვიფურებოდი და ვფიქრობდი, რა მოხდება, ქარმა სახურავი რომ წაიღოს, ან თავზე ჩამოგვაშროს-მეთქი“.
თუმცა წაგება ივანიშვილის ისე ტრაგიკულად ნამდვილად არ აღუქვამს, როგორც მარშალნიელი უიმბლდონის ფინალში მარცხი, რომლის შემდეგაც თვითმკვლელობით დაიშურა: „იქ აუცილებლად გავალ ფინალში და მეორეადგილოსნის სულელური ჯილდოთი აღარ დავკმაყოფილებდი. ერთ დღეს უიმბლდონს აუცილებლად მოვიგებ, თუგინდ ეს 40 წლის შემთხვევაში ასაკის წყვილებში მოხდეს“.
მერვედფინალი: ბრეზ რუზიჩი (3, ინგლისი) — მეტრე კორდა (ჩეხეთი) 6:3, 7:6 (7:4); რიჩარდ კრამიჩი (4, პოლანდია) — ნიკოლას კიფერი (გერმანია)

6:3, 6:4; პაროლ კუჩარა (5, სლოვაკეთი) — გიომ რაუქსი (საფრანგეთი) 6:2, 6:0; ტომას პანკისტი (6, შვედეთი) — დევიდ პრინოშილი (გერმანია) 6:4, 7:5; დომინიკ პრეპარი (სლოვაკეთი) — იან კროსლავი (სლოვაკეთი) 6:2, 6:3

პარიზი. საფრანგეთი.
OPEN GAZ DE FRANCE.
დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 520 ათასი \$

უკეთეს მატჩს ტურნირის ორგანიზატორები ვერც კი ინატრებდნენ — მეოთხედფინალში ავსტრალიის ლია პირველობის ფინალისტები, მასმედიის მიერ ლამის სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაკლებული მარტინა პინგისი და ამელი მორესმო დაწყვილდნენ.
ერთხელაც შეგახსენებთ ამ გადაღვივლ ისტორიას: მელბურნიში ფინალის წინ დაუფურავად ლეზბოსელ ფრანგს პინგისმა „ნახევრად კაცი“ უწოდა, მერე ამას ვალში არც მორესმო დარჩა და შვეიცარიელი „სულელად“ მოიხსენია.
თუმცა თავად ჩოგბურთელებს ამჟამად თუ დაეკითხებით, წყნად დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა. „რაც მოხდა, მოხდა. ამ მატჩის ისევე მიუღებები, როგორც ნებისმიერ სხვას. შური-სძიების სურვილი, რა თქმა უნდა, მაქვს, მაგრამ რაღაც სიტყვების კი არა, ფინალში დამარცხების გამო“ — განაცხადა მორესმომ.
„ამელი ძალიან ნიჭიერი ჩოგბურთელია და უმჯობესია, მეტი ყურადღება მის თამაშს დაუთმოთ. მაშინ ვიხუმრებ, მაგრამ თურნალისტებმა ეს ვააბუქეს. თქვენ გინდათ, ჩვენ რინგზე კრივის მატჩში შეხვედეთ და ყურები წაგვაგამოთ ერთმანეთს — აშკარად გაანაწყურა მსოფლიოს პირველი რიგში გამოდგმებული მად კითხვებმა — მის პირად ცხოვრებაში არავის არაფერი ესაქმება, შეუძლია ის აკეთოს, რაც უნდა. ჩვენ მიზეზი არა გვაქვს, რომ მტრები ვიყოთ“.
რაც შეეხება ჩოგბურთის, მეორე წრეში პინგისმა იუგოსლავიელ სანდრა ნაჩუკს მოუგო 6:1, 6:1, მორესმომ სლოვაკ კარინა პაპსულოვას 6:2, 6:1. მერვედფინალი: სარანა შინიამანი (აშშ) — ნატალი ტოზია (2, საფრანგეთი) 6:1, 6:4; დომინიკ პან რუხტი (3, ბელგია) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:4, 6:0; აბელი კრამიჩი (საფრანგეთი) — ირინა სპირლევა (4, რუმინეთი) 6:4, 6:2; შული ალბანი (7, საფრანგეთი) — ანა-გიელ სილო (საფრანგეთი) 6:1, 6:2.
ავთანდილ სვანიძე



ოტავა ის პლარ პრის

25 თებერვალი

ოტავა — მონრეალი 3:1

1:0 1:0 1:0

1:0 იუჰანსონი 6'41(18); 1:1 ბრიუნე 17'54(13); 2:1 იუჰანსონი 34'32(19); 3:1 იაშინი 47'43(28)

„ბედნიერებაა, როცა შენი გუნდი ასე თამაშობს“ — თქვა მატჩის შემდეგ ოტავა კაპიტანმა ალექსი იაშინმა, კაცმა, რომელიც სამი წლის წინ ამბობდა, რა გუნა, შევევუე, რომ კარიერის საუკეთესო წლები მაჩანჩალა გუნდში უნდა გავატარო. მართლაც საოცრებაა. ამ ხნის განმავლობაში ოტავა ისე გაძლიერდა, რომ მეტოქეები, რომლებიც ადრე მუდმივად უყურებდნენ, ახლა მასთან შეხვედრის წინ საგანგებო ტაქტიკას ამუშავებენ და მაინც ხშირად ხელცარიელნი რჩებიან. პირველ პერიოდში ბრძოლა მეტნაკლებად თანაბარი იყო, მერე კი საბრალო მონრეალებმა აღარ იცოდნენ, რა ელონათ. განსაკუთრებით ანდრეას იუჰანსონი და იაშინი აქტიურობდნენ. შედეგად, რომელსაც 16 თამაშში გოლი არ გაუტანა, ორჯერ იმარჯვა, რუსმა კი თითქმის ყველა ცვლაში საგოლე მომენტი შექმნა და ერთი მათგანი გამოიყენა. ოტავა აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერი გახდა.

ბოსტონი — ნიუ ჯერსი 3:3

0:1 1:0 2:2 0:0

0:1 როლსტონი 16'49(18); 1:1 ელი-სონი 31'32(17); 1:2 არნოტი 42'15(14); 2:2 ბურკი 43'21(6); 2:3 არნოტი 50'04(15); 3:3 მანი 58'19(4)

მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ნიუჯერსელ პატრიკ ელი-აშს (2 პასი) შეეძლო, თამაშის ბედი შეეტრიალებინა, მაგრამ ბოსტონელთა მეკარე ბაირონ დაფომ იმარჯვა. სამაგიეროდ, მასპინძელთა ახალბედად, კამერონ მანიმ, რომელმაც ამ ბოლო ხანებში თავი გამოიჩინა (3 მატჩში 4 გოლი), ნაკლებად ხელსაყრელი მომენტი გამოიყენა და ისე მოულოდნელად დაარტყა, გამოცდილმა მარტინ ბროდომ შაბა მხოლოდ მაშინ შეამჩინა, ბადეში რომ აღმოჩნდა.

კოლორადო — პიტსბურგი 2:3

0:1 2:0 0:2

0:1 მოროზოვი 12'37 (9); 1:1 საკიკი 31'20 (29); 2:1 ჰეიდუკი 36'29 (8); 2:2 იაგრი 41'02 (28); 2:3 სტრაჟა 57'04 (26)

ყველაფერი მატჩის მიწურულს გადაწყდა — პიტსბურგის ფორვარდმა ალექსი კოვალიოვმა ჩინებული პასი მიაწოდა მარტინ სტრაჟას. ჩეხმა ცარიელ კარს ააცილა, მაგრამ ორი წუთის შემდეგ იბლაშა (და იმავე კოვალიოვმა) სტრაჟას კიდევ ერთი შანსი მისცა და მანაც გამოიყენა.



კოლორადო — პიტსბურგი. პიტსბურგელმა კევინ ჰენერმა (4) კოლორადოელი შონ პოდეინი „აუტში“ გადააგდო

აილენდერსი — ტორონტო 1:4

0:2 1:2 0:0

0:1 სუნდინი 19'33 (21); 0:2 ბერე-ზინი 19'51 (22); 1:2 დონატო 26'49 (8); 1:3 კაბერლე 27'56 (4); 1:4 დომი 35'28 (6)

პირველი პერიოდის ბოლო წუთით მასპინძელთათვის საბედისწერო გამოდგა — 18 წამის განმავლობაში ორჯერ აღმოჩნდა შაბა მათ კარში. დანარჩენი კი ტორონტოელთა მეკარე გლენ ჰილიმ ითავა (ბოლო ორ პერიოდში 23 დარტყმა მოიგერია), რომელიც თავის დროზე ნიუიორკელთა დირექტორს იცავდა. ტორონტოელი სტივ ტომასი ბოლო 10 მატჩში, ქულებს აგროვებს.

საშუალო ლარიზიანი

სატურნირო ვითარება

ჩრდილო-აღმოსავლეთი	
ოტავა	58 33 8 17 169:124 74
ტორონტო	59 33 5 21 190:175 71
ბუფალო	58 27 12 19 158:126 66
ბოსტონი	58 24 10 24 150:137 58
მონრეალი	60 23 8 29 140:157 54

სამხრეთ-აღმოსავლეთი	
კაროლინა	60 27 11 22 158:151 65
ფლორიდა	58 22 15 21 147:150 59
ვანინგტონი	58 24 5 29 146:152 53
ტამპა	58 12 5 41 119:210 29

ატლანტა	
ფილადელფია	58 30 13 15 181:127 73
ნიუ ჯერსი	60 32 8 20 177:153 72
პიტსბურგი	57 32 7 18 180:153 71
რინგერსი	58 23 7 28 160:165 53
აილენდერსი	60 18 7 35 140:182 43

ცენტრი	
დეტროიტი	60 31 5 24 177:150 67
სენტ ლუისი	57 23 10 24 158:148 56
ნემილი	59 21 6 32 140:190 48
ჩიკაგო	60 17 8 35 134:191 42

წყნარი ოკეანე	
დალასი	56 36 9 11 164:112 81
ფინიქსი	58 30 10 18 148:129 70
ანაჰაიმი	59 25 9 25 157:148 59
სან ხოსე	59 20 14 25 134:137 54
ლოს ანჯელესი	59 22 5 32 138:160 49

ჩრდილო-დასავლეთი	
კოლორადო	59 29 8 22 160:146 66
ედმონტონი	58 22 8 28 156:151 52
კალგარი	59 21 10 28 153:170 52
ვანკუვერი	59 18 9 32 147:187 45

ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 88 (28+60); ლინდროსი 82 (35+47); ლეკლერი (ორივე — ფილადელფია) 78 (37+41); კარია 75 (26+49); სელიანე (ორივე — ანაჰაიმი) 72 (32+40); ფლერი (კალგარი) 68 (30+38); ფორსბერგი (კოლორადო) 67 (17+50); იაშინი (ოტავა) 66 (28+38); საკიკი (კოლორადო) 64 (29+35); მოდანი (დალასი) 63 (23+40); დემიტრა (სენტ ლუისი) 62 (27+35); სუნდინი (ტორონტო) 61 (24+40).

შეპარდი ოცხებით გვაოცნებს

ამ დღეებში რამდენიმე პოკეისტმა პირადი მიღწევების ნუსხა გაამდიდრა. ფლორიდაელმა სკოტ მელანშიმ 250-ე გოლი მიითვალა, ხოლო კაროლინას პლენიმიეკერი რონ ფრენსისი მორიგი ორი პასის შემდეგ ნჰლის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მერვე ადგილზე აღზევდა 1469 ქულით და ლეგენდარული ჩიკაგოელი სტენ მიკიტა მოიტოვა უკან. მისმა თანაგუნდელმა რეი შეპარდმა კი ისეთი რეკორდი დაამყარა, მისი დამზობა პრაქტიკულად შეუძლებელია. ფორვარდმა აილენდერსთან თამაშში მე-20 გოლი გაიტანა და ლივის ისტორიაში პირველი პოკეისტი შეიქნა, რომელმაც 6 სხვადასხვა კლუბში თამაშისას (კაროლინამდე იყო ბუფალო, რინგერსი, დეტროიტი, სან ხოსე და ფლორიდა) მიაღწია ამ საბატიო ზღვარს.



რეი შეპარდი

ბაბია, რბინა ხომ არა...

დომინიკ პაშეკმა, რომელიც ტრავმის მიუხედავად 24 თებერვალს კალგარისთან შეხვედრაში მონაწილეობას აპირებდა, მწვერთვლების რჩევას ყური უგდო და კიდევ ორი დღით დაისვენა. „დომინატორმა ისე დიდხანს და კარგად ითამაშა, ეს ნამდვილად დაიმსახურა. მანქანებიც კი ვერ უძლებენ ხანგრძლივ და მაქსიმალურ დატვირთვას“ — თქვა ბუფალოელთა მწვერთველმა ლინდი რაფმა, რომელმაც პაშეკს, სანამ იგი დამადგებოდა, ტრავმამდე კლუბის მიერ ჩატარებული 55 მატჩიდან მხოლოდ სამი გამოატოვებინა. ასე რომ, ტრავმამ ნამდვილად სულზე მიუსწრო ბოლო ხანს გადადილ მეკარეს. „ჩვენ დიდი მიზნები გვაიმპარავს, ამიტომ სიფრთხილედ გვმართებს“ — „დომინატორმა“ ასე გაამართლა მწვერთველთა გადაწყვეტილება.



კრისტიან ჰოფმანმა (9) ნორვეგიელი ტომას ალსგარდი დაიბრწყვა და ავსტრიას ოქროს მედალი მოუტანა

ოჯახური პორტრეტი ბრიყვთან ერთად



ის, რაც გუშინ ავსტრიაში მოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხდა, როგორც ჩანს, მართლაც იშვიათად ხდება, რადგან რაიმე ამის მსგავსი ვერაფრით გავიხსენებ. გინახავთ, როგორ იდგბს კაცი ოქროს მედალს ვიბიდან და სხვას აძლევს? არც მე მინახავს. გინახავთ სპორტსმენი გულგრილად მოქცეულს ყველაზე საბატიო — გუნდურ გამარჯვებას? ალბათ, ძალიან იშვიათად. და საერთოდ, ისეთი დაუდევრობა, როგორც ნორვეგიელმა ტომას ალსგარდმა — ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა — გამოიჩინა 4X10 კმ ესტაფეტის ბოლო, მეოთხე ეტაპზე, ძნელად მოსაძებნი კი არა, ძნელად მოსაფიქრებელიც კია. თუქცა მოყვებოთ თავიდან. პირველი ეტაპი: ნორვეგია — ბიერგი, იტალია — ვორჯო დი ჩენტა, ფინეთი — კირვისნიემი, ავსტრია — ვანდლერი... დისტანციის ნახევარი — 5 კილომეტრი — კარგა მოზრდილმა ჯგუფმა ერთად იარა. მერე თანდათან წინ გადიან ავსტრია, ესტონეთი და სლოვაკია... ლიდერებს ოდნავ ჩამორჩნენ ნორვეგია, გერმანია, რუსეთი, იტალია და ფინეთი. მოულოდნელად აუტსაიდერის როლში აღმოჩნდა შვედეთი. ეტაპის ფინიშზე გუნდები ასეთი თანმიმდევრობით მიდიან: ავსტრია, ესტონეთი, სლოვაკია, ნორვეგია, გერმანია, რუსეთი, იტალია, ფინეთი. ნორვეგიელები 17 წამს აგებენ ლიდერთან, რუსები — 24, იტალიელები — 32, ფინელები — 37. მერე ეტაპი: ფინელები განსაკუთრებულ იმედს სწორებენ ამ ეტაპზე ამყარებენ. მსოფლიოს ჩემპიონის ორი ოქროს მედალის მფლობელი მიაკ მულუა, ცხადია, ყველაფერს იღონებდა ლიდერებში გასასვლელად. იგივე მიზანი აქვთ რუსებსა და იტალიელებს — პროკუროროვიცა და ვალბუზაც, კაცმა რომ თქვას, მთქმელებიც არიან და შემსრულებლებიც. ცოტა განსხვავებულ გეგმა ექნებათ ნორვეგიელებს — ერლინგ ივენსთვის კარგი იქნება თუ ლიდერთან ჩამორჩენას არ გააღრმავებს. თუ ეტაპზე მოთხილამურეები ასე თუ ისე ნორმალურად ჩამწყრივდნენ: ავსტრია, ნორვეგია (+19 წამი), ფინეთი (+26)... ეტაპის ფინიშზე სურათი შეიცვალა — არ გამართლდა ფინელების იმედი — მულუას დაღლა დატყო და ნელ-ნელა დათმო პოზიცია. მესამე ადგილზე გადაინაცვლეს გერმანელებმა, მეოთხეზე — იტალიელებმა. მესამე ეტაპი: ავსტრიელებს (ბოტ-

ვინოვი) 31 წამიანი უპირატესობა აქვთ ნორვეგიელებთან (ბიორნ დელი). მეხუთე კილომეტრზე დელიმ განსხვავება 22 წამამდე შეამცირა. ფინეთთან კი ავსტრიელებს 10 წამიანი უპირატესობა შეერათ. მესამე პოზიციაზე გადავიდნენ იტალიელები, მაგრამ ლიდერთან ჩამორჩენამ თითქმის წუთი შეადგინა, ამიტომ „ბრინჯაო“ ყველაზე უფრო შესაფერი ჯილდო იქნება ამ უაღრესად სიმპათიური გუნდისთვის. მეოთხე ეტაპი: კრისტიან ჰოფმანი და ტომას ალსგარდი. ერთი ავსტრიელია, მეორე — ნორვეგიელი, ერთს ბრინჯაო რომ ბრინჯაოა, ისიც სანატრელი აქვს, მეორეს მედლები მთელი კოლექცია აქვს ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონის ოქროების ჩათვლით. ათწამიანი განსხვავება ორივე კილომეტრზე თვალსა და ხელს შუა დაიღია. ნორვეგიელი გიგანტი კვალში ჩაუდგა ავსტრიელს და სეირნობა-სეირნობით მიჰყვა. ავსტრიელმა რამდენჯერმე განზე გაიწია, ხელითაც ანიშნა — მიდი, წინ გადი, მე რა შენი მეტოქე ვარო. ალსგარდმა, ცხადია, ყურაც არ ათხოვა ავსტრიელის მინიშნებას — საფინიში სპურტით ცნობილ ნორვეგიელისთვის წინ გასვლა და ლიდერობა სულაც არ იყო საჭირო. ეჭვი არ მეპარება, დაახლოებით ამგვარი აზრი უტრიალებდა თავში მსოფლიოს და ოლიმპიურ ჩემპიონს. ავსტრიელმა კიდევ უფრო უკლო ტემპს და ერთ-ერთ დამართზე ალსგარდი ბოლოსდაბოლოს იძულებული ხდება წინ გავიდეს. წესით და რიგით ნორვეგიელს ამ სიტუაციაში ჰოფმანის ჩამოცილება უნდა ეცადა. ალსგარდი ვიუტლად ინარჩუნებს საკმაოდ დაბალ ტემპს. მეტისმეტი არაფერი არ ვარგა. საკუთარი ძალების მეტისმეტი რწმენაც კი. ჩემპიონს კი მართლაცაა მეტისმეტი მოუვიდა. ფინიშამდე ოთხასიოდ მეტრიდა რჩებოდა, როცა ავსტრიელმა, რომელიც აქამდე ამკარად იკატუნებდა თავს, სიჩქარეს უმატა. ალსგარდი, ბუნებრივია, მიჰყვა იმ რწმენით, რომ ბოლო მოსახვევის შემდეგ იოლად გაუსწორდებოდა მეტოქეს. ბოლო მოსახვევში კი ჰოფმანი მცირე რადიუსით შევიდა ფინიშის სწორზე და მცირე უპირატესობას ერთი მეტრიც წაამატა. ფინიში მშვენიერ გაკვეთილად იქცა ერთობ თავდაჯერებულ ბრიყვისთვის — დასვენებულმა ავსტრიელმა უკანასკნელი დონე მოიკრიბა და ფინიშზე ოციოდ სანტიმეტრით შეასწრო ალსგარდს. ამ შეჯიბრების ბოლო კადრი ერთობ ტრაგიკომიკური იყო — ერთ მხარეს სისარულით გადაარეული ავსტრიელები, მეორე მხარეს ნორვეგიელ მოთხილამურეთა დამწუხრებელი ოჯახი, რა თქმა უნდა, ბრიყვთან ერთად.

ირაკლი ბერიავილი



გერმანია
XX ტური
ვერდერი 1:1 ბოხუმი
0:1 კუნცი (20), 1:1 აილტონი (84)
ლაუტბარნი 1:1 შტუტგარტი
0:1 ბობიჩი (60), 1:1 რამზი (65)
ვერორ ბუნდესლიგა
XX ტური
ვატენზაიდი 4:2 ზანტ პაული
1:0 დიხტარი (12), 1:1 სტევანოვიჩი (19),
1:2 პუშმანი (27), 2:2 სანე (31), 3:2
ფაილბაიერი (47), 4:2 სანე (54)
პარლსრუი 0:1 ბაინცი
0:1 პოკი (70)
კიოლნი 0:2 ჰანოვერი
0:1 მორინასი (23), 0:2 ჩერუნდოლო (71)

საფრანგეთი
XXV ტური
ბასტია 1:1 ტულუზი
1:0 პრენსი (59), 1:1 ოსეანუ (64)
ოსარი 1:2 ლანსი
0:1 ნუმა (9), 0:2 ბრუმელი (36), 1:2 კლო-
სი (52)
მეცი 1:1 სოშო
0:1 ბუფე (40), 1:1 შემელი (42)
ლე ავრი 0:1 ლორიანი
0:1 ლოკო (53)
რენი 2:1 ნანსი
1:0, 2:0 ლერუ (51, 77), 2:1 კასკარინო (90)



კაიზერსლაუტერნი — შტუტგარტი 1:1. კაიზერსლაუტერნის ჰარი კოხი (მარცხნივ) შტუტგარტელ ფრედი ბობიჩს ბურტს ეცილება

ინგლისი
პირველი დივიზიონი
XXXIII ტური
უოტფორდი 0:1 სვინდონი
0:1 პოუი (44)

გელგია
XXIV ტური
ბრიუზე 4:0 ლოკაინი

აოლონეთი
XVI ტური
ლანი 2:0 აივისა

ჰოლანდია
კამპერი 2:2 ვიტსი
0:1 როიზერი (31), 1:1 შაიდე (31), 2:1 ვან
რაისვიკი (42), 2:2 ჩეროვიჩი (73)

თურქეთი
XXII ტური
ქოჯალი 0:1 სამარია
0:1 ნიკოლოვსკი (63)

ბარევი, მამა ნონო!
მეძისის საფეხურით ნაერების მექარის, ხორხე კამბოსის მამა ალფაროს, ახლახან ერთგვიანი „გატაცებაში“ რომ იყო, უბანსა და შინაურებში თურმე „ნონოს“ ეძახიან... ნონო სამართლიანი და კეთილი კაცია. მისი ბიჭის კლუბ „პუმასში“ იგი დამსახურებული პატივისცემით სარგებლობს. „ბარევი, მამა ნონო!“ აი, ახეთი პლაკატი შეეგებნენ პუმასელთა ვატაცების შემდეგ პირველ მატჩზე მისულ ალფაროს.



სოკ-ს სენატორების ემუქრება

„სოლტ ლეიკ 2002“-ის ბინძურ საქმეზე გუშინ აშშ-ს სენატშიც აყაყანდნენ. ყაყანი ქვეყნის სამართლის დეპარტამენტისა და საგადასახადო სამსახურის მიერ ამ საქმესთან დაკავშირებით ოფიციალური გამოძიების დაწყებას მოჰყვა. სავარაუდოა, რომ „სოლტ ლეიკ 2002“-ის საინიციატივო კომიტეტის მიერ სოკ-ის წევრთა მოსაქრთამად დახარჯულ 1 მილიონ დოლარზე რამდენიმე დღეში სენატის კომიტეტის კომიტეტშიც იმსჯელებენ. როგორც ამ კომიტეტის ერთ-ერთი წევრი ბრძანებს, სენატორები არც თავად სოკ-ის წინააღმდეგ გალაშქრებას მოერიდებიან. ეს კი, ალბათ, სოკ-ისთვის აშშ-ს ტერიტორიაზე „გადასახადებისგან გათავისუფლებულს“ სტატუსის ჩამორთმევითა და ტელეტრანსლირების უფლებათა შეკვეცით დასრულდება.

ტრაგედია ჭაღრაკის დაფაზე

რბხან ტრაგედიაზე ლაპარაკი, მას ვმირიც უნდა ჰყავდეს და იგი ამჯერად მსოფლიო ჭაღრაკის ერთ-ერთი გრანდი, უკრაინელი ვასილი ივანჩუკი გახლავთ, თავად ტრაგედია კი დატრიალდა ლინარესის სუპერტურნირის IV ტურში, რომელშიც ივანჩუკი თეთრი ფეგურებით ინგლისელ ადამს ეთამაშებოდა და პარტიის მიწურულს ლამის გარანტირებული გამარჯვების მოლოდინით ტკბებოდა. ჭაღრაკის მცოდნეებს არ სჭირდებოდა იმის ახსნა, თუ რას ნიშნავს დიდოსტატა პარტიებში ზედმეტი ხარისხი პლუს პოზიციური უპირატესობა. ამ დროს უარეს დღეში მყოფი მოჭაღრაკე ელემენტარულად უნდა დანებდეს და, სხვათა შორის, 40 საკონტროლო სვლის გაკეთებისთანავე ადამსიც ზუსტად ასე აპირებდა მოქცევას. მან დაფაზე რიგით 39-ე სვლა გადაადგილება შესარულა და ბონოლასავით ნაღვლიანი თვლები მეტოქეს მიაპყრო, რა არის, მისი სვლის პარალელურად წამოძვარებით და ინგლისელ ჯენტლმენის ღირსებით გამარჯვება მიიღო. უკრაინელისთვის ივანჩუკმა ცოტაც იფიქრა, სვლა გააკეთა, ხელი საათისკენ წაიღო და... გაისმა ნაცნობი წყაპუნის ბოლო და არა საათის თავზე განთავსებული გადამრთველი დილაკი, არამედ შიგნით ჩამონტყეპული პატარა ალმისა, საკონტროლო დროის გასრულებას რომ აღრიცხავს. ნახევარმა




წამმა, დახაც, მოულოდნელი შედეგის დაფიქსირება განაპირობა: ივანჩუკი — ადამსი 0:1; სხვა სიკეთესთან ერთად ადამსს ამ გამარჯვებამ 4 ტურის შემდეგ 3 ქულით ერთპიროვნული ლიდერობაც არგუნა, რადგან მეორე ლიდერი, კასპაროვი კრამნიკთან პარტიაში ისე ირჯებოდა, გეგონებოდა, მსუბუქად ვარჯიშობსო. მე-7 სვლაზე ლაზიერი გაუცვალა და მე-20 სვლაზე მცირეოდენი ქინჩის შემდეგ ყაიმზე შეუთანხმდა. დანარჩენ წყებებს რაც შეეხებოდა, სვიდლერმა დეკოს მოულო და კასპაროვს დაეწია, ხოლო ანანდმა და ტოპალივამ, ისევე, როგორც ყველა უწინდელ ტურში, ახლაც ნახევარ-ნახევარი ქულა მიითვალეს...



დედალი ავაზა

სტოკჰოლმის ჰერტვემა „გრან პრიზე“ გუშინ ორი რეკორდი დაფიქსირდა, ამასთან ორივე მდებრიონში. გერმანელმა მეჭოკე ნიკოლ ჰუმბერტმა სხეული აქამდე მიუწვდომელ 4,56 მ-ზე აზიდა, ხოლო მისგან 7 წუთის შემდეგ მოზამბიკელმა ძუ ავაზამ — მარია მუტოლა (ფოტოზე) 1 კმ-ზე ზუსტად სამი წლის წინ იქვე დამყარებულ თავისსავე რეკორდს გადაურბინა. ქალ მეჭოკეთა შორის უცილობელ გამარჯვებას ყველა უნგრელ შუშა საბოს უწინასწარმეტყველებდა. მაგრამ 27 წლის ფერხორციანმა გერმანელმა, აქამდე მხოლოდ 4,46-ს რომ მიწვდენოდა, უკვე მეორე ცდაზევე ავსტრალიელი ემა ჯორჯის შარშანდელ 4,55 მ-ს ერთი სანტიმეტრი ამატა და, რამდენადაც საბო მხოლოდ 4,41-ს დასჯერდა, კვარცხლბეკის პირველი საფეხურიც შეიფერა. აი, მარია მუტოლა კი მთელი კვირის განმავლობაში სწორედ რომ რეკორდის დამხობით იმუქრებოდა. მაგრამ რომ არა, ურთის მხრივ, რუსი ლარისა მიხაილოვა, ვინაც მას პირველ 800 მ-ზე გზისგამყვანისა და მეკვლის როლი შეუსრულა და, მეორეს მხრივ, 10-ათასიანი პუბლიკა, დარჩენილი 200 მეტრი რომ შემავალიანებულ ღრიანცელში გაარბენინა, ნაქადნი რეკორდი ეგებ ვერც შემდგარიყო. ფინიშთან მისული მუტოლა ფეხზეც ძლივს იდგა და გულსაც ძლივს აკაეებდა, მეკრდიდან რომ არ ამოვარდნოდა... თუმცა, ლარისა იყო თუ მოსეირეთა ყიყინა, მსოფლიოს საშუაის ჰერტვემა ჩემპიონმა სამი წლის წინანდელი 2,31,23 წუთი მაინც 2,30,94-ად გარდასახა და — აწი ამის შემცველი აღარავინააო — ჯერ ასე თქვა, მერე კი — ახლა იაპონიის მსოფლიო პირველობა ახლოვდება და იქ კრისტინ ვახტელის მიერ 11 წლის წინ 800 მ-ზე ნაჩვენები 1.56,40 უნდა „ჩაგპარსო“ — ასე დაამატა.



სარბიელი
სკორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოცემის სამსახურის,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი ბიძინა ლომიძე
რედაქტორი თამაზ მიხრაიული
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი
აპთანდელ ბურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბუჩქაძე
ტექნიკური რედაქტორი გიორგი ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მმრბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კომტორაძე
ფეხბურთის რედაქტორი ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაყიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზენა ხანიკიძე

უცხოური განყოფილება ლამა გოდუაძე, დავით კოვიზიძე, ვანო ოქროპირიძე, ონიკე შინჯიკაშვილი; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე; ინფორმაციის განყოფილება ირაკლი თაყაძე, პაატა თითაძე, ლევან კულაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე; ფოტორეპორტიორები გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე; სტილისტი მათა აბზიანიძე, ნათელა გორგოზიანი; კომპიუტერული ცენტრი ელენე გულუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი; გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის
ბაზარი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საზოგადოებრივი მისამართი:
თბილისი — 79,
საზოგადოებრივი ქუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29